ბრძანება №38/ს

თბილისი **29 / ივლისი / 2019 წ.**

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ავტორიზაციის შესახებ

ავტორიზაციის მსურველი პირი: საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო (შემდგომში - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო)

მოთხოვნა: სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთვის პირობით ავტორიზაციაგაცემულ კვალიფიციურ სანდო მომსახურებაზე ავტორიზაციის მინიჭება.

აღწერილობითი ნაწილი

„საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ავტორიზაციის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 30 ივნისის #35/ს ბრძანებით სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიენიჭა პირობითი ავტორიზაცია შემდეგი კვალიფიციური სანდო მომსახურებების მიმართ:

ა) კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის სერტიფიკატის გაცემა პირადობის

(ბინადრობის) ელექტრონულ მოწმობაზე;

ბ) კვალიფიციური ელექტრონული შტამპის სერტიფიკატის გაცემა;

გ) დროის კვალიფიციური აღნიშვნის მომსახურების მიწოდება.

ამავე გადაწყვეტილებით სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს დაევალა, არაუგვიანეს 2019 წლის 01 ივლისისა სააგენტოსთვის აუდიტის დასკვნის ან/და სხვა მტკიცებულებების წარმოდგენა, რომლითაც დადასტურდებოდა აღნიშნულ გადაწყვეტილებაში მითითებული შეუსაბამობების აღმოფხვრა. იმავდროულად შეუსაბამობების აღმოსაფხვრელად გატარებულ ღონისძიებებს არ უნდა გამოეწვია ახალი შეუსაბამობების წარმოქმნა;

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ 2019 წლის 1 ივლისს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - მონაცემთა გაცვლის სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) მომართა № 01/195101 განაცხადით კვალიფიციური სანდო მომსახურების მიმწოდებლად ავტორიზაციის შესახებ.

ავტორიზაციის შესახებ განაცხადს თან ერთვის:

1. აუდიტის III ფაზის დეტალური ანგარიში;
2. სააგენტოს 2019 წლის 12 ივნისის 438/ს ბრძანებით დამტკიცებული ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკა;
3. ინფორმაციული ტექნოლოგიების მმართველი კომიტეტის 2018 წლის 29 ივნისის ოქმი #35;
4. ღია გასაღების ინფრასტრუქტურის (CA) კონფიგურაციის გადახედვის ოქმები (30 ოქმი);
5. სააგენტოს მმართველის საბჭოს 2019 წლის 17 მაისის სხდომის ოქმი #34, რომლითაც დამტკიცებულია სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ინფორმაციული უსაფრთხოებასთან დაკავშირებული კომუნიკაციის პოლიტიკა;
6. 2019 წლის 27 ივნისის სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების მმართველი კომიტეტის ოქმი (მოიცავს: სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ღია გასაღების ინფრასტრუქტურის როლებისა და მომხმარებლების გამიჯვნის პროცედურას და ინფორმაციული ტექნოლოგიების ინციდენტების მართვის პროცედურას);
7. სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 11 ივნისის N5266/კ და N5267/კ ბრძანებები (სამუშაო აღწერილობის დამტკიცების თაობაზე);

8. სააგენტოს თავმჯდომარის 2019 წლის 23 მაისის № 4901/კ ბრძანება (სამუშაო აღწერილობის დამტკიცების თაობაზე);

9. #1314 ცვლილება;

10. სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 29 მაისის #295/ს ბრძანებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის სისუსტეების, შეღწევადობისა და სკანირების პროცედურა“;

11. SIEM სისტემაში არსებული ლოგები;

12. ღია გასაღების ინფრასტრუქტურის გადართვის ოქმი N1;

13. 2019 წლის 02 ივნისის ტრეინინგის დღის წესრიგი;

14. 2019 წლის 26 ივნისის ინფორმაციული უსაფრთხოების საბჭოს ოქმი;

15. მმართველი საბჭოს 35 ოქმი (მოიცავს: შინაგანაწესს; წესებსა და პირობებს);

16. #1352 მიღება - ჩაბარების აქტი; #1352 ცვლილების დოკუმენტი;

17. ინფორმაცია სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ აუდიტის III ფაზის დროს გამოვლენილ შეუსაბამობათა აღმოფხვრის შესახებ;

18. სააგენტოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის 2018 წლის 29 ივნისის #374/ს ბრძანებით დამტკიცებულ სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ღია გასაღების ინფრასტრუქტურის უსაფრთხოების აპარატურული მოდულის მართვის პროცედურა.

ავტორიზაციის შესახებ განაცხადზე თანდართული 2018 წლის 22 ნოემბერის აუდიტის დეტალური ანგარიში მომზადებულია შპს „იუაი საქართველოს“ მიერ და მასში ასახულია საერთაშორისო სტანდარტების (ETSI EN სტანდარტების სერია), „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონისა და შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მიმართ შიდა კონტროლების სისტემის, მმართველობითი და სერტიფიკაციის მხარდამჭერი პროცესების, ასევე ტექნიკური კონფიგურაციების მიმდინარე მდგომარეობის შეფასება და მათი გაუმჯობესებისთვის აუცილებელი მიდგომები და რეკომენდაციები. აუდიტის დეტალური ანგარიშის შესაბამისად, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ მითითებული მომსახურებების შეფასება განხორციელდა აუდიტის შემდეგი კრიტერიუმების მიმართ:

საქართველოს კანონი „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“;

„კვალიფიციური სანდო მომსახურების მიმწოდებლისთვის სავალდებულო ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 ივნისის №343 დადგენილება;

„კვალიფიციური სანდო მომსახურების მიმწოდებლის ავტორიზაციისა და ზედამხედველობის წესის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2018 წლის 28 ივნისის №308 ბრძანება);

„სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ სანდო და კვალიფიციური სანდო მომსახურების მიწოდების, კრიპტოგრაფიული გასაღებების სერტიფიკატის შექმნის, გაცემისა და მასთან დაკავშირებული მომსახურებების გაწევის წესის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2018 წლის 29 ივნისის №315 ბრძანება;

და შემდეგი საერთაშორისო სტანდარტების მიმართ:

მომსახურება	მომსახურების აღნიშვნა	სტანდარტი	ვერსია
ელექტრონული ხელმოწერის ბიომეტრიული მონაცემების შიფრაციის სერტიფიკატის გაცემა	Bio. Encryption	ETSI EN 319 411-1 Policy and security requirements for Trust Service Providers issuing certificates; Part 1: General requirements	V1.2.2 (2018-04)
კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის სერტიფიკატის გაცემა პირადობის (ბინადრობის) ელექტრონულ მოწმობაზე	ESignature	ETSI EN 319 411-2 Policy and security requirements for Trust Service Providers issuing certificates; Part 2: Requirements for trust service providers issuing EU qualified certificates	V2.2.2 (2018-04)
კვალიფიციური ელექტრონული შტამპის სერტიფიკატის გაცემა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ კვალიფიციური ელექტრონული შტამპის შექმნის საშუალებაზე	ESeal	ETSI EN 319 411-2 Policy and security requirements for Trust Service Providers issuing certificates; Part 2: Requirements for trust service providers issuing EU qualified certificates	V2.2.2 (2018-04)
კვალიფიციური ელექტრონული შტამპის სერტიფიკატის გაცემა განმცხადებლის ინფრასტრუქტურაში	ESeal	ETSI EN 319 411-2 Policy and security requirements for Trust Service Providers issuing certificates; Part 2: Requirements for	V2.2.2 (2018-04)

ინტეგრირებული კვალიფიციური ელექტრონული შტამპის შექმნის საშუალებაზე		trust service providers issuing EU qualified certificates	
კვალიფიციური ელექტრონული ძტამპის სერტიფიკატის გაცემა სააგენტოს მიერ გაცემულ სუბიექტის მოწყობილობაზე	ESeal	ETSI EN 319 411-2 Policy and security requirements for Trust Service Providers issuing certificates; Part 2: Requirements for trust service providers issuing EU qualified certificates	V2.2.2 (2018-04)
სერტიფიკატის გაცემა სააგენტოს ინფრასტრუქტურაში	ESeal	ETSI EN 319 411-2 Policy and security requirements for Trust Service Providers issuing certificates; Part 2: Requirements for trust service providers issuing EU qualified certificates	V2.2.2 (2018-04)
ინტეგრირებულ კვალიფიციური ელექტრონული შტამპის შექმნის საშუალებაზე			
დროის კვალიფიციური აღნიშვნის მომსახურების მიწოდება	Timestamping	ETSI EN 319 421 Policy and Security Requirements for Trust Service Providers Issuing Time-Stamps	V1.1.1 (2016-03)

როგორც აუდიტის დასკვნაშია მითითებული, აუდიტის შედეგად აღნიშნული მომსახურებების მიწოდების მიმართ გამოვლინდა შემდეგი **ძნიშვნელოვანი შეუსაბამობები**:

ა) სააგენტოს არ შეუმუშავებია და არ დაუნერგავს გარე დაინტერესებული მხარეების შეტყობინების პროცესი და შესაბამისი პროცედურა, მათ შორის კონტრაჰენტებისა და მომხმარებლებისთვის (როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირი), უსაფრთხოების დარღვევის, ინფორმაციული მთლიანობის დაკარგვის, მათ შორის, კომპრომეტირების შემთხვევაში. პროცედურა ასევე უნდა მოიცავდეს მოთხოვნებს შეტყობინების ვადებთან დაკავშირებით;

ბ) არ არის შემუშავებული პროცედურა, რომელიც აღწერს კატასტროფის შემდგომ ქმედებებს და მიზნად ისახავს მსგავსი კატასტროფის თავიდან არიდებას ან აღდგენისთვის საჭირო აქტივობების კოორდინირებას და მართვას;

და შემდეგი **შეუსაბამობები**:

ა) რისკების შეფასების მეთოდოლოგია არ აღწერს პერიოდულ და საჭიროების შემთხვევაში რისკების შეფასების კრიტერიუმებს;

ბ) HSM-ების კონფიგურაციის სტანდარტები და პროცედურა არ არის დამტკიცებული სააგენტოს ხელმძღვანელობის მიერ; გასაღებების გამოყენების პროცედურა, როგორიცაა გასაღების გამოყენებისა და გასაღების ატრიბუტების შეცვლის შეზღუდვა, არ არის უზრუნველყოფილი HSM დონეზე;

გ) სააგენტოს არ აქვს შემუშავებული პროცედურა ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის ცვლილებების გარე მხარეებთან (კონტრაქტორებთან და ა.შ.) კომუნიკაციისთვის;

დ) მოვალეობების გამიჯვნა არ არის განხორციელებული შესაბამისი პარამეტრებით კრიტიკულ სისტემებში;

ე) უსაფრთხოების მოვალეობები კონკრეტული როლებისთვის არ არის განსაზღვრული დოკუმენტებში. ასევე არ არის ფორმალური სამუშაო აღწერილობა ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერისთვის;

ვ) სააგენტომ შეიმუშავა დოკუმენტების მარკირების, მოძრაობისა და მოპყრობის წესები, რომელიც არ არის დამტკიცებული და პროცესი არ იყო დანერგილი შესაბამისობის შეფასების პერიოდისთვის. გარდა ამისა, შემუშავებული დოკუმენტი მოიცავს მარკირების, მოძრაობისა და მოპყრობის წესებს მხოლოდ დოკუმენტებისთვის და არა ყველა აქტივისთვის;

ზ) სააგენტომ განსაზღვრა HSM აუდიტორის როლი, თუმცა როლი არ არის მინიჭებული პასუხისმგებელ პირზე;

თ) IT პროექტების მართვის პროცესთან დაკავშირებული პოლიტიკა და პროცედურები არ არის დამტკიცებული სააგენტოს ხელმძღვანელობის მიერ;

ი) ქსელური მოწყობილობების კონფიგურაციებისა და წვდომის სიების გადახედვა ხორციელდება უფროსი ქსელური ადმინისტრატორის მიერ თვეში ერთხელ, თუმცა გადახედვები არ ხორციელდება დამოუკიდებელი პირის მიერ, რომელიც არ მონაწილეობის ქსელის ადმინისტრირებაში;

კ) შეღწევადობის ტესტირება და სისუსტეების სკანირება ხორციელდება მესამე მხარის მიერ წელიწადში ერთხელ, თუმცა მოწყვლადობების სკანირება არ ხორციელდება შემუშავებული პროცედურის შესაბამისად. სააგენტო ნერგავს Rapid7 სისტემას მოწყვლადობების სკინირებისათვის, თუმცა დანერგვის პროცესი ჯერ არ დასრულებულა;

ლ) არ არსებობს აღმოჩენილი სისუსტეების ინციდენტების მართვის პროცესთან კომუნიკაციის მოთხოვნა;

მ) PKI სისუსტეებისა და შეღწევადობის რეგულარული ტესტირების პროცედურა არ არის დანერგილი სააგენტოში;

ნ) SIEM სისტემა აგროვებს და აანალიზებს მხოლოდ syslog დონის ლოგებს (LOGIN, LOGOUT, MODIFY_OBJECT, OPEN_SESSION, CLOSE_SESSION, OPEN_ACCESS, CLEAN_ACCESS, CLOSE_ACCESS, etc) HSM სისტემებიდან, რაც არ არის საკმარისი კონფიდენციალობის, მთლიანობის და ხელმისაწვდომობის მხარდაჭერისთვის;

ო) სააგენტოს არ აქვს დოკუმენტებში აღწერილი აღმოჩენილი მოწყვლადობებისათვის გამოსწორების პერიოდი;

პ) სააგენტოს არ შეუმუშავებია ბიზნესის უწყვეტობის გეგმის სატესტო პროცედურები და არასოდეს განუხორციელებია გეგმების ტესტირება; სააგენტოს არ გაუცნია ბიზნესის უწყვეტობის გეგმა თანამშრომლებისა და

კონტრაჰენტებისათვის;

ჟ) სანდო მომსახურების მიმწოდებლის შინაგანაწესი არ განსაზღვრავს კომუნიკაციის ვალდებულებას და/ან არხებს, რომელთა საშუალებითაც დროის აღმნიშვნელმა ორგანომ უნდა მიაწოდოს თავის მომხმარებლებსა და კონტრაჰენტებს ინფორმაცია, რომლითაც შესაძლებელი გახდება კომპრომეტირებული დროის აღნიშვნის ტოკენების აღმოჩენა, ასევე ინფორმაცია კომპრომეტირების შესახებ; სააგენტოში არ არის ჩამოყალიბებული სანდო სერვისების წესების და პირობების ცვლილებების სუბიექტებთან კომუნიკაციის პროცესი;

რ) ავარიული აღდგენის გეგმა არ ადგენს დროის აღმნიშვნელი ერთეულის საათის კალიბრაციის დარღვევის შემთხვევაში გასატარებელ გამოსასწორებელ ქმედებებს; ოკ

ს) შინაგანაწესში არ არის აღწერილი მესამე მხარისთვის სანდო მომსახურების მიმწოდებლის მიერ გაცემული სერტიფიკატის შემოწმებისა და ტესტირების ნებართვის მიცემის პროცესი;

ტ) სანდო მომსახურების მიმწოდებლის შინაგანაწესი არ განსაზღვრავს givenName და surname ატრიბუტების მითითების მოთხოვნებს;

უ) სააგენტოში არ არის განსაზღვრული საზედამხედველო ორგანოსთვის სულ მცირე 30 კალენდარული დღით ადრე კვალიფიციური სერვისების შეწყვეტის შეტყობინების მოთხოვნები; სააგენტოში არ არის განსაზღვრული საზედამხედველო ორგანოსთვისა და კვალიფიციური სანდო მომსახურების მომხმარებლებისთვის სულ მცირე 14 კალენდარული დღით ადრე შინაგანაწესში შეტანილი ცვლილებების შეტყობინების მოთხოვნები; სააგენტოში არ არის განსაზღვრული საზედამხედველო ორგანოსთვის სულ მცირე 30 კალენდარული დღით ადრე სააგენტოს სისტემებისა უსაფრთხოებისა და მონაცემების მთლიანობის სტატუსის შეტყობინების მოთხოვნები; სააგენტოში არ არის შემუშავებული შეტყობინების პროცედურა, რომელიც არეგულირებს შეტყობინების პროცესს და მოიცავს მოთხოვნებს შეტყობინების ვადებთან დაკავშირებით.

აუდიტის დასკვნაში ჩამოთვლილი მნიშვნელოვანი თუ სხვა შეუსაბამობების აღმოფხვრის დასტურად, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ №01/195101 წერილით წარმოადგინა შემდეგი მტკიცებულებები:

აუდიტის III ფაზის დეტალური ანგარიში;

სააგენტოს 2019 წლის 12 ივნისის 438/ს ბრძანებით დამტკიცებული ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკა;

ინფორმაციული ტექნოლოგიების მმართველი კომიტეტის 2018 წლის 29 ივნისის ოქმი #35;

ღია გასაღების ინფრასტრუქტურის (CA) კონფიგურაციის გადახედვის ოქმები (30 ოქმი);

სააგენტოს მმართველის საბჭოს 2019 წლის 17 მაისის სხდომის ოქმი #34, რომლითაც დამტკიცებულია სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ინფორმაციული უსაფრთხოებასთან დაკავშირებული კომუნიკაციის პოლიტიკა;

2019 წლის 27 ივნისის სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების მმართველი კომიტეტის ოქმი (მოიცავს: სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ღია გასაღების ინფრასტრუქტურის როლებისა და მომხმარებლების გამიჯვნის პროცედურას და ინფორმაციული ტექნოლოგიების ინციდენტების მართვის პროცედურას);

სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 11 ივნისის N5266/კ და N5267/კ ბრძანებები (სამუშაო აღწერილობის დამტკიცების თაობაზე);

სააგენტოს თავმჯდომარის 2019 წლის 23 მაისის № 4901/კ ბრძანება (სამუშაო აღწერილობის დამტკიცების თაობაზე);

#1314 ცვლილება;

. სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 29 მაისის #295/ს ბრძანებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის სისუსტეების, შეღწევადობისა და სკანირების პროცედურა“;

. SIEM სისტემაში არსებული ლოგები;

. ღია გასაღების ინფრასტრუქტურის გადართვის ოქმი N1;

. 2019 წლის 02 ივნისის ტრეინინგის დღის წესრიგი;

. 2019 წლის 26 ივნისის ინფორმაციული უსაფრთხოების საბჭოს ოქმი;

. მმართველი საბჭოს 35 ოქმი (მოიცავს: შინაგანაწესს; წესებსა და პირობებს);

. #1352 მიღება - ჩაბარების აქტი; #1352 ცვლილების დოკუმენტი;

. ინფორმაცია სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ აუდიტის III ფაზის დროს გამოვლენილ შეუსაბამობათა აღმოფხვრის შესახებ;

. სააგენტოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის 2018 წლის 29 ივნისის #374/ს ბრძანებით დამტკიცებულ სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ღია გასაღების ინფრასტრუქტურის უსაფრთხოების აპარატურული მოდულის მართვის პროცედურა.

„ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის, ასევე „კვალიფიციური სანდო მომსახურების მიმწოდებლის ავტორიზაციისა და ზედამხედველობის წესის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2018 წლის 28 ივნისის №308 ბრძანების მე-3 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ წარმოდგენილი იქნა ყველა საჭირო დოკუმენტი, რაც აუცილებელია ავტორიზაციის შესახებ განაცხადის განხილვისათვის.

სამოტივაციო ნაწილი

წარმოდგენილი განაცხადის განხილვის ფარგლებში, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ წარმოდგენილი აუდიტის დასკვნისა და სხვა მტკიცებულებების შეფასების საფუძველზე, კვალიფიციური სანდო მომსახურების მიწოდების ნაწილში დგინდება, რომ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ დადგენილ ვადაში აღმოფხვრილია სსიპ მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 30 ივნისის #35/ს გადაწყვეტილებაში მითითებული მნიშვნელოვანი შეუსაბამობები.

განხილვის შედეგად მონაცემთა გაცვლის სააგენტომ მიიჩნია, რომ დეტალური აუდიტის ანგარიშში ჩამოთვლილი მნიშვნელოვანი შეუსაბამობები გამოსწორებულ იქნა, თუმცა აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ სააგენტომ უნდა განაგრძოს შემუშავებული პროცედურებისა და წესების იმპლემენტაცია და ასევე სრულყოფილად გამოასწოროს აუდიტის დასკვნაში ასახული სხვა შეუსაბამობები.

აუდიტის დასკვნისა და სხვა წარმოდგენილი დოკუმენტების დეტალური შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო აკმაყოფილებს როგორც „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის, ისე - კვალიფიციური სანდო მომსახურების მიმწოდებლისთვის სავალდებულო ტექნიკური რეგლამენტისა და კვალიფიციური სანდო მომსახურების მიმწოდებლის ავტორიზაციისა და ზედამხედველობის წესის მოთხოვნებს განაცხადში მითითებული სამი მომსახურების მიმართ (კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის სერტიფიკატის გაცემა პირადობის (ბინადრობის) ელექტრონულ მოწმობაზე; კვალიფიციური ელექტრონული შტამპის სერტიფიკატის გაცემა; დროის კვალიფიციური აღნიშვნის მომსახურების მიწოდება).

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, სააგენტომ ისარგებლა დისკრეციული უფლებამოსილებით და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე და 53-ე მუხლების, „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის, ასევე „კვალიფიციური სანდო მომსახურების მიმწოდებლისთვის სავალდებულო ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 ივნისის №343 დადგენილების პირველი მუხლის მე-2 პუნქტის, „კვალიფიციური სანდო მომსახურების მიმწოდებლის ავტორიზაციისა და ზედამხედველობის წესის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2018 წლის 28 ივნისის №308 ბრძანებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-7 პუნქტის, მე-5, მე-7 და მე-8 მუხლების საფუძველზე, გადაწყვიტა:

1. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიენიჭოს ავტორიზაცია შემდეგი კვალიფიციური სანდო მომსახურებების მიმართ:

   ა) კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის სერტიფიკატის გაცემა პირადობის (ბინადრობის) ელექტრონულ მოწმობაზე;

   ბ) კვალიფიციური ელექტრონული შტამპის სერტიფიკატის გაცემა;

   გ) დროის კვალიფიციური აღნიშვნის მომსახურების მიწოდება.

2. დასრულდეს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2019 წლის 1-ლი ივლისის № 01/195101 განაცხადის განხილვა. აღნიშნული გადაწყვეტილება მიღებისთანავე გამოქვეყნდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე (www.dea.gov.ge) და ძალაში შევიდეს 2019 წლის 29 ივლისს;

3. გადაწყვეტილება შესაძლოა გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, № 6) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და პირობებით, გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ნიკოლოზ გაგნიძე